პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა, მიუსაფარი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობა ვეტერინარულ ღონისძიებების გატარების გზით

3.განათლება (04 00)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს რომლის ფარგლებშიც ყოველ წლებში ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დასახელება		2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
04 00	განათლება	2 959,3	1 822,6	1 822,6	1 822,6
04 01	სკოლამდელი აღზრდა	1 849,6	1 631,6	1 631,6	1 631,6
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება	1 849,6	1 631,6	1 631,6	1 631,6
04 02	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	225,3	195,0	191,0	191,0
04 02 01	საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	210,1	181,0	181,0	181,0
04 02 02	პროფესიული სტუდენტთა ხელშეწყობა	15,2	14,0	10,0	10,0
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	884,4	0,0	0,0	0,0

ა) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი აღზრდა	2025წლის დაფინანსება ათას ლარში
04 01			1 849,6
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
	პროგრამის აღწერა	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. დმანისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის დაფინანსება. დღეის მდგომარეობით სკოლამდელი აღზრდის სამსახურში შედის 10 საბავშვო ბაღი, რომელიც ემსახურება შემდეგი დასახლებების მოსახლეობას: სოფელი იალუფლო, სოფელი ზემო ოროზმანი, სოფელი დალარი, სოფელი ქვემო ოროზმანი, სოფელი ზაზაქლო, სოფელი კარაბულაზი, სოფელი განთიადი, სოფელი კიზილქილისა, სოფელი ტნუსი, სოფელი ჯავახი, სოფელი ას კაკლიანი, სოფელი ზოსლები, სოფელი ვარდისუბანი, სოფელი დიდი დმანისი, სოფელი მამავერა, სოფელი გომარეთი, სოფელი ახა, სოფელი ველისპირი, სოფელი განახლება და სოფელ სარკინეთი. 2020-2021 წლებში განხორციელდა ქალაქ დმანისის N1, სოფელ ჯავახისა და სოფელ განთიადისა და სოფელ	

	მაშვერას საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია, მიმდინარეობს სოფელ ვარდისუბნის, სოფელ გომარეთის, სოფელ სარკინეთის და ქალაქ დმანისის N2- N3 ბაღების სრული რეაბილიტაცია. აღნიშნული დასრულდება 2022 წელს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სამომავლოდ დაგეგმილია ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა სოფელ ზოსლებში და ასევე ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ დიდ სოფლებში
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტის 2-დან 6-წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობა

ა.ა) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელშეწყობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
04 01 01			1 849,6
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური	
	ქვეპროგრამის მიზანი	სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა	
	ქვეპროგრამის აღწერა	დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 9 საბავშვო ბაღი და დამატებით რეაბილიტაციის პროცესშია ერთი ბაღი - ქალაქ დმანისის N1, N2, N3 ბაღები, სოფელ განთიადის, სოფელ ჯავახის, სოფელ ვარდისუბნის, სოფელ სარკინეთის, სოფელ მაშვერასა და სოფელ გომარეთის საბავშვო ბაღები. მთლიანად სამსახურში დასაქმებულია 60 თანამშრომელი, მათ შორის 16 აღზრდელი და 12 თანაშემწე, ხოლო ირიცხება 340 აღსაზრდელი, აქედან ბიჭი 172, გოგო 168. ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის“ დაქვემდებარებაში შემავალ საბავშვო ბაღებში დაწყებულია მზადება ავტორიზაციისათვის, რაც მოიცავს ბაღების რეაბილიტაციას, აღზრდელ-პედაგოგების გადამზადებასა და ა.შ. ადგილობრივი სუბსიდია ხმარდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაღების შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ავეჯის განახლებასა და ა.შ. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღზრდელი პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.	

ბ) საგანმანათლებლო ცენტრი

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
04 02 01			210,1
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი	
	ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენისა და უცხო ენების შესწავლის უზრუნველყოფა, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სახელმწიფო ენის სწავლის ხელშეწყობა და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში.	

ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში, კერძოდ ქალაქ დმანისში ფუნქციონირებს ააიპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც წარმოადგენს სკოლის გარეშე სასწავლო დაწესებულებას. დაფუძნდა 2008 წლის 18 დეკემბერს. საგანმანათლებლო ცენტრში წარმოებს სახელმწიფო ენისა და უცხო ენის (ინგლისური) უფასო სწავლება. 2021 წლის დასაწყისში ქართული ენის სასწავლო პროგრამაში ახალგაზრდებში, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობებში, ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი ინტერესის გაღვივებისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით მოხდა საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის ინტეგრირება. პროგრამა არის ერთწლიანი და ხდება თანმიმდევრული შესწავლა დონეების მიხედვით (ინდივიდუალური მიდგომა). ცენტრში დადგენილია კვირაში 5 დღიანი სასწავლო/სააღზრდელი პროცესი. ცენტრში დასაქმებულია 9 ადამიანი და მიმდინარე წელს პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე სწავლობდა 157 ბენეფიციარი ჯგუფის წარმომადგენელი. პროგრამის ფარგლებში, აზურბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობის დაფინანსებით მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი, რომელიც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებიდან ახდენს მათ ტრანსპორტირებას. პროგრამაში ჩართულნი არიან სოფლები: ზემო და ქვემო ოროზმანი, ბაზაქლო, დალარი, კარაბულახი, შინდლარი, დაგარახლო, ამამლო, მამიშლო და სოფლებთან ერთად ქალაქ დმანისის მკვიდრი ახალგაზრდები.</p>
----------------------------	---

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროფესიული სტუდენტთა ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 02 02			15,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, მაღალმთიანი სტატუსის მქონე სტუდენტებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული პროფესიის დაუფლების მიზნით ჩაირიცხებიან დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედ შვეიცარიულ-აგარულ სკოლა „აკვასიაში“, დმანისის მუნიციპალიტეტი დაუფინანსებს სწავლას 50 % ოდენობით. ასევე, სტუდენტებს, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ჩაირიცხა და სწავლობს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში/სასწავლებლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ერთჯერადი წახალისების სახით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისგან გადაეცემა თანხა 300 ლარის ოდენობით;	
ქვეპროგრამის მიზანი		დმანისის მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, ხელმისაწვდომობის ზრდა, პროფესიული სტუდენტების როგორც დმანისის მუნიციპალიტეტში, ასევე ქვეყნის მასშტაბით, სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ სფეროებში მომზადება.	

გ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა

კოდი	პროგრამის დასახელება	საჯარო სკოლების დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 03			884,4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
პროგრამის მიზანი		საჯარო სკოლებში კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნა.	
პროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა მოიცავს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ქვეპროგრამას ახორციელებს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია. რეისების ჯეროვნად შესრულებას კი ზედამხედველობას უწევს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. ტრანსპორტირება ხორციელდება მუნიციპალიტეტში მოქმედი სკოლების მოთხოვნისამებრ და ქვეპროგრამით სარგებლობს სხვადასხვა სოფლის წარმომადგენელი მოსწავლეები. პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ზოგიერთ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლად, შესაბამისად მოსწავლეებს ტრანსპორტი ემსახურება დირექტორის მიერ განსაზღვრული გრაფიკით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამაში ჩართულია მოსწავლე. 2021 წელს პროგრამით სარგებლობენ შემდეგი სოფლის მოსწავლეები: კიზილქილისა, ბოსლები, გუგუთი, დიდი დმანისი	

4. კულტურა, ახალგაზრდობა სპორტი 05 00

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

პრიორიტეტის/პროგრამების/ქვეპროგრამის /ღონისძიებების დასახელება		2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3 498,1	3 631,4	3 631,4	3 631,4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	991,6	1 121,6	1 121,6	1 121,6
05 01 01	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	850,9	980,9	980,9	980,9
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	140,7	140,7	140,7	140,7
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2 083,2	2 072,8	2 072,8	2 072,8
05 02 01	კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა	1 125,1	1 097,7	1 097,7	1 097,7
05 02 02	სახელოვნებო დაწესებულების ხელშეწყობა	328,6	315,6	315,6	315,6
05 02 03	საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა	284,5	279,5	279,5	279,5
05 02 04	კულტურული ღონისძიებები	345,0	380,0	380,0	380,0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	200,0	200,0	200,0	200,0
05 04	ინიციატივების თანადაფინანსება	10,0	2,0	2,0	2,0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	158,3	180,0	180,0	180,0
05 06	საგამომცემლო საქმიანობა	55,0	55,0	55,0	55,0

ა)

სპორტის სფეროს განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	სპორტის სფეროს განვითარება	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 01			991,6
	პროგრამის განმახორციელებელი	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
	პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2025 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება სპორტული სკოლა. პროგრამის ფარგლებში მოხდება სპორტული ობიექტების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია. მეორე ქვეპროგრამა ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით და მოიცავს მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტული ღონისძიებების დაგეგმვასა და ჩატარებას.	
	პროგრამის მიზანი	სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სულიერად და ფიზიკურად განვითარებული პიროვნების ფორმირება, სპორტული ტრადიციების დაცვა, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 01 01			850,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა	
ქვეპროგრამის აღწერა		ააიპ " ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა" - უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას 8 სპორტის სახეობის მიმართულებით. სკოლას აქვს ფილიალი სოფელ განთიადში, სოფელ გომარეთსა და სოფელ ვარდისუბანში. ორგანიზაციაში დასაქმებულია 22 თანამშრომელი, აქედან 3 ქალი და 19 კაცი. მოქმედებს შემდეგი სპორტული წრეები: ჭიდაობა- მიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭიდაობა - ქართული, ჭიდაობა - სამბო, ჭადრაკი, ფეხბურთი, კრივი და კარატე 13 მწვრთნელი ემსახურება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (6 დან - 18 წლამდე) ახალგაზრდას. სკოლაში რიცხულია 192 ბენეფიციარი. სპორტული წრეების სპეციფიკიდან გამომდინარე მათ შორის ყველა ბიჭია. სკოლა გეგმავს და ანხორციელებს ღონისძიებებს ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით და ხელს უწყობს მის დაწესებულებაში და პოპულარიზაციას. იგეგმება ფრენბურთის წრის დამატება. ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს და ახორციელებს მათ წახალისებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ წრეებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		დმანისის მუნიციპალიტეტში სპორტული სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობით მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა სპორტში და პერსპექტიული სპორტსმენების აღზრდა.მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 01 02			140,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ჩატარდება ტურნირები და სახელობითი თასის შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, აღინიშნება ევროპის სპორტის კვირული. დაიგეგმება სხვადასხვა აქტივობები სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ამასთან, დაფინანსდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადები, სადაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა სკოლის მოსწავლე იქნება ჩართული. წარმატებულ სპორტსმენებთან ჩატარდება შეხვედრები და უზრუნველყოფილი იქნება მათ მიერ გამართულ მასტერკლასებზე ახალგაზრდების მასშტაბური ჩართულობა. განსაზღვრული ბიუჯეტი მოხმარდება ფორმების, თასების, სიგელებისა და სხვა სპორტული ინვენტარის შექმნას.	
ქვეპროგრამის მიზანი		სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	

ბ) კულტურის სფეროს განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	კულტურის სფეროს განვითარება	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 02			2 083,2
პროგრამის განმახორციელებელი		დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
პროგრამის აღწერა		დმანისის მუნიციპალიტეტის მიზანია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობის უზრუნველყოფა, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების პოპულარიზაცია, კულტურული ტურიზმის განვითარება და შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელშეწყობა. ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 200-მდე კულტურული ძეგლის აღწერა, მოვლა-ვატრონობა და პოპულარიზაცია. მუნიციპალიტეტი ორიენტირებულია ახალგაზრდების საზოგადოებრივ, კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობაზე. დმანისის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედეგად 4 ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება 3 მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე. ესენია: ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, რომელსაც აქვს ფილიალი სოფელ გომარეთში, ა(ა)იპ დმანისის სამუსიკო სკოლა - ფუნქციონირებს სოფელ განთიადისა და სოფელ ვარდისუბანის ფილიალები და დმანისის საზოგადოებრივი და დმანისის (ამამლო, გომარეთი, ვარდისუბანი, განთიადი) რომელშიც შედის საბავშვო, ცენტრალური და ოთხი სოფლის (ამამლო, გომარეთი, ვარდისუბანი, განთიადი) ბიბლიოთეკა. მეოთხე ქვეპროგრამას მოიცავს ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ორგანიზებას.	

	კულტურული მრავალფეროვნების ფესტივალების, სხვადასხვა კონცერტების გამოფენების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების დაგეგმვა-განხორციელებასა და ახალგაზრდების ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრის ორგანიზებას
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დმანისის მუნიციპალიტეტის მიზანია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობის უზრუნველყოფა, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების პოპულარიზაცია, ტურიზმის განვითარება და შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელშეწყობა.

ბ.ა) კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 02 01			1 125,1
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	
	ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისა და მოზარდების ჩართულობის უზრუნველყოფა ხალხურ შემოქმედებაში, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული კოლექტივების, სახელოვნებო და სხვა წრეების საქმიანობაში. ახალგაზრდებში ესთეტიური გემოვნების ჩამოყალიბება და მათი აღზრდა – განათლება ქართული ტრადიციების შესაბამისად. სახვითი, (ფერწერა, გრაფიკა, ხატვა) გამოყენებითი და ხალხური ხელოვნების (თექის დამუშავება, ქსოვა, ქარგვა, ხეზე კვეთა) განვითარების ხელშეწყობა, მივიწყებული ტრადიციული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია: ხალხური მთქმელების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების, ოსტატების გამოვლენა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა. ასევე განსაკუთრებული და გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა და ხელშეწყობა. ხალხური მუსიკის, ქორეოგრაფიული და ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის ნიმუშების შეგროვების, შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის პრობების შექმნა. ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშებისადმი ინტერესის გაღვივება, ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და თამაშობების ფიქსაცია, პოპულარიზაცია. სამუზეუმო და ტურისტული საქმიანობის განვითარებას. სამუზეუმო და ტურისტული საქმიანობის განხორციელება. ამ ექსპოზიციებისათვის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა მასალის მომზადება, საზოგადოებისათვის წარმოჩენა, თანამშრომლობა მუნიციპალიტეტის ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საქართველოს ეროვნულ და სხვა მუზეუმებთან, ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან, უცხოეთის სხვადასხვა სამუზეუმო, სამეცნიერო და კულტურის ცენტრებთან.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოების ორგანიზებას;</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას, ასევე სასწავლო-სარეპეტიციო პროცესში სოფლად მცხოვრები ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.</p> <p>ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულებები, მათ შორის ქართული ხალხური რეწვის (თექა და ხეზე კვეთა), ხატვის, ფოლკლორული (სიმღერა და ცეკვა), ხალხური საკრავების, საგალობლების, საესტრადო, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების და თეატრალური სტუდიები. ასევე, ფოლკლორული ანსამბლები (ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი "შგარდა", ქალთა ფოლკლორული ანსამბლი "ირინოლა", ინტერნაციონალური ანსამბლი "დმანისური ასი"). სტუდიებში დღეისათვის დადის 324 ბავშვი (გოგო და ბიჭი): ხალხური სიმღერის სტუდია ---; ცენტრში დასაქმებულია 57 თანამშრომელი (ადმინისტრაცია, სტუდიების ხელმძღვანელები, ანსამბლების წევრები და სხვ.)აქედან 22 შტატისანი და 36 შტატგარეშე თანამშრომელი. ქალი .. კაცი .. . ცენტრში ფუნქციონირებს არქეოლოგიური საექსპოზიციო დარბაზი, სადაც განთავსებულია 600-ზე მეტი ექსპონატი. საექსპოზიციო დარბაზის მნახველთა რაოდენობა წლის განმავლობაში საშუალოდ 1200-1500-ია. ცენტრში ასევე ფუნქციონირებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი.</p>	
	ქვეპროგრამის მიზანი	დმანისის მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისა და მოზარდების ჩართულობის უზრუნველყოფა ხალხურ შემოქმედებაში	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სახელოვნებო დაწესებულების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 02 02			328,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ დმანისის სამუსიკო სკოლა	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ "დმანისის სამუსიკო სკოლა" და მასში შემავალი ორი ფილიალი - სოფელ ვარდისუბნისა და სოფელ განთიადის ფილიალები, რომლის მიზანია საფორტეპიანო კლასიკური მუსიკის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, რათა მოსწავლეები ეზიარონ ხელოვნების საფუძვლებს. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების ფესტივალებსა და კონკურსებში, მუსიკალურ-შემეცნებით წარმოდგენებში მონაწილეობა. სამუსიკო სკოლაში განათლებას იღებს 65 მოსწავლე - გოგო ... ბიჭი ... აქედან, ვარდისუბნის ფილიალში დადის ხოლო განთიადის ფილიალში კი - . სკოლაში დასაქმებულია (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 15 თანამშრომელი, აქედან 14 ქალი და 1 კაცი. 2025 წელს დაგეგმილია მოსწავლეთათვის კულტურულ-შემეცნებითი ტურები, როგორც არის სხვადასხვა კულტურულ სადამოებზე, თეატრის, ოპერისა და ბალეტის წარმოდგენებზე დასწრება და სხვა.	
ქვეპროგრამის მიზანი		ხელოვნებისადმი ინტერესის გაზრდა და საფორტეპიანო, კლასიკური მუსიკის საფუძვლების შესწავლა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 02 03			284,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ საბიბლიოთეკო სამსახური, რომლის მიზანია ბიბლიოთეკისა და ზოგადად წიგნის კითხვის მიმართ ინტერესის გაზრდა, წიგნის კითხვის პოპულარიზაცია. საბიბლიოთეკო სამსახურში შედის: საბავშვო ბიბლიოთეკა, სოფელ განთიადის ფილიალი, სოფელ ვარდისუბნის ფილიალი, სოფელ გომარეთის ფილიალი, სოფელ ამამლოს ფილიალი. სამსახურში დასაქმებულია 13 ადამიანი, მათგან ყველა ქალია. ბიბლიოთეკები ყველა ასაკის მკითხველს ემსახურებიან. საბიბლიოთეკო სამსახურის წიგნადი ფონდი შეადგენს წიგნს. წიგნიერების დონის გაზრდის, მოსახლეობაში და განსაკუთრებით ბავშვებში კითხვის პოპულარიზაციის, საუკეთესო მკითხველების გამოვლენის მიზნით, ბიბლიოთეკის მიერ დაგეგმილია რიგი ღონისძიებები: ჩატარდება ინტერაქტიული, სათავგადასავლო თამაშები, რომლის ფარგლებშიც გაიმართება წიგნის აუქციონი, ლიტერატურული სასამართლოები, პოეტური ბატლი, გაიმართება ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები, სხვადასხვა აქტივობებით აღინიშნება კულტურის სფეროში მოღვაწეთა საიუბილეო თარიღები. დაგეგმილია წიგნადი ფონდის განახლება და სკოლის მოსწავლეთა ჩართულობით კულტურულ-შემეცნებითი შეხვედრები მწერლებთან, ხელოვანებთან და სხვა.	
ქვეპროგრამის მიზანი		ბიბლიოთეკისა და ზოგადად წიგნის კითხვის მიმართ ინტერესის გაზრდა	

ბ.დ) კულტურული ღონისძიებები

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურული ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 02 04			345,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ისეთი კულტურული ღონისძიებები, სადაც მეტად იქნება წარმოდგენილი სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულება (სახვითი, თეატრალური, სამუსიკო და ტრადიციული). ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფისა და მოქალაქეების ჩართულობა, ამ მიზნით მოხდება მათთან შეხვედრების ორგანიზება. იგეგმება კულტურული ღონისძიებები როგორც არის: საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, სახალხო დღესასწაული "დმანისობა", გომარეთობა, ეთნო ფესტივალი, საახალწლო კონცერტი და სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი შეხვედრები ახალგაზრდობისთვის. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფესტივალი - შემოქმედი ახალგაზრდობა და სხვა.	

ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, კულტურის სფეროს დარგების ხელშეწყობა და მათი პოპულარიზაციისათვის შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება, სანახაობრივი მაღალი ხარისხის კულტურული ღონისძიებების ჩატარება, მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა.
---------------------	---

ბ.ე) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

კოდი	პროგრამის დასახელება	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 03			200,0
პროგრამის განმახორციელებელი		დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი.		რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდა და მოსახლეობის სულიერობის ამაღლება.	

ბ.ვ) ინიციატივების თანადაფინანსება

კოდი	პროგრამის დასახელება	ინიციატივების თანადაფინანსება	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 04			10,0
პროგრამის განმახორციელებელი		დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
პროგრამის აღწერა		იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდები წარმოადგენენ საზოგადოების მნიშვნელოვან სეგმენტს, რომელთაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვთ, დმანისის მუნიციპალიტეტმა რუსთავის ჰაბთან თანამშრომლობით შემუშავდა აღნიშნული პროგრამა, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ახალგაზრდული ინიციატივების ან მათი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას. პროგრამას საფუძვლად უდევს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის N7054 დადგენილება „2020-2030 ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის დამტკიცების შესახებ, რომლის მე-3 პუნქტის მიხედვით ეთხოვათ მუნიციპალიტეტებს ხელი შეუწყონ კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას. პროგრამის არსი მდგომარეობს შემდეგში: დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის მერიის გარდა, რომელიმე დონორი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში (რომელიც ეხება ახალგაზრდების გაძლიერებას) გამარჯვების შემთხვევაში, თანადაფინანსების მსურველი ფიზიკური პირი ან არასამთავრობო ორგანიზაცია მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგენს წერილობით საპროექტო განაცხადს, რომელსაც განიხილავს შესაბამისი კომისია, მუნიციპალიტეტის მერი და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი დაფინანსებს დონორის მიერ დაფინანსებული პროექტის არამუმეტეს 50 %.	
პროგრამის მიზანი		დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/ფაქტობრივად მცხოვრები ახალგაზრდა პირების ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პროექტების თანადაფინანსება	

კოდი	პროგრამის დასახელება	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 05			158,3

პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური
პროგრამის აღწერა	ახალგაზრდები წარმოადგენენ საზოგადოების მნიშვნელოვან სეგმენტს, რომელთაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვთ, დმანისის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა პროგრამა, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს წარჩინებული ახალგაზრდებისა და წარმატებული სპორტსმენების ყოველთვიურ წახალისება/დახმარებას.
პროგრამის მიზანი	დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების მოტივაცია/ხელშეწყობა; წარმატებული/ნიჭიერი ახალგაზრდების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენა, რეალიზება და ღირსეული ადგილის დამკვიდრება ქვეყნის მშენებლობისა და განვითარების საქმეში თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად. ასევე დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისა და წარმატებული სპორტსმენების მოტივაცია ყოველთვიური ფულადი წახალისების გზით

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას.

ა) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 01)

პროგრამის მიზანი: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა.

პრიორიტეტის/პროგრამების/ქვეპროგრამის /ღონისძიებების დასახელება		2025 წელი			2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
		სულ	ადგილობრივი	სახელმწიფო			
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 986,9	2 707,8	279,2	1 986,7	1 986,7	1 986,7
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	191,7	0,0	191,7	191,7	191,7	191,7
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ა(ა)იპ "დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"	191,7	0,0	191,7	191,7	191,7	191,7
06 02	სოციალური დაცვა	2 795,2	2 707,8	87,5	1 795,0	1 795,0	1 795,0
06 02 01	მძიმე დიაგნოზის მქონე და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის სოციალური დაცვა (ავადმყოფთა სოციალური დაცვა)	720,0	720,0	0,0	650,0	650,0	650,0
06 02 01 (01)	ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	328,0	328,0	0,0	350,0	350,0	350,0
06 02 01 (02)	დიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარება	61,0	61,0	0,0	39,0	39,0	39,0
06 02 01 (03)	ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარება	15,0	15,0	0,0	18,0	18,0	18,0
06 02 01 (04)	მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარება	97,0	97,0	0,0	81,0	81,0	81,0
06 02 01 (05)	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	15,0	15,0	0,0	15,0	15,0	15,0
06 02 01 (06)	18 წელს გადაცილებულ შშ ქალთა და 18 წლამდე შშ მქონე პირთა სოციალური დაცვა	30,0	30,0	0,0	30,0	30,0	30,0

06 02 01 (07)	მარჩენალდაკარგული, დედამამით ობოლი ბავშვების სოციალური დახმარება	26,0	26,0	0,0	26,0	26,0	26,0
06 02 01 (08)	ბავშვთა/რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში ჩართული 0-18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი, ბავშვიანი ოჯახების ქირით უზრუნველყოფის 2024 წლის ქვეპროგრამა,	18,0	18,0	0,0	21,0	21,0	21,0
06 02 01 (09)	„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების (ქირით უზრუნველყოფის) ქვეპროგრამა,	18,0	18,0	0,0	21,0	21,0	21,0
06 02 01 (10)	ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, დღის ცენტრის და ადრეული განვითარების ცენტრში რეგისტრირებული 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების ყოველთვიური სოციალური დახმარების ქვეპროგრამა	12,0	12,0	0,0	12,0	12,0	12,0
06 02 01 (11)	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა,	30,0	30,0	0,0	40,0	40,0	40,0
06 02 02	ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (სათბობის შეშით ან ბიოსაწვავი, ბრეკეტით) უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა	64,0	64,0	0,0	64,0	64,0	64,0
06 02 03	სოციალურდ დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამა ოპერაციების ხარჯები	1 050,0	1 050,0	0,0	523,0	523,0	523,0
06 02 03 (01)	აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის მხარდაჭერა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა	403,0	403,0	0,0	376,0	376,0	376,0
06 02 03 (02)	აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების პროგრამა	20,0	20,0	0,0	20,0	20,0	20,0
06 02 03 (03)	მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა»	300,0	300,0	0,0	100,0	100,0	100,0
06 02 03 (04)	0 დან 1 წლამდე ასაკის ბავშვების ხელოვნური კვების პროდუქტებით დახმარების ქვეპროგრამა	27,0	27,0	0,0	27,0	27,0	27,0
06 02 04	სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანები)	1,0	0,0	1,0	1,0	1,0	1,0
06 02 05	მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა ა(ა)იპ "დმანისის სათნოების სახლი"	299,8	299,8	0,0	300,0	300,0	300,0
06 02 06	ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა	467,0	467,0	0,0	150,0	150,0	150,0
06 02 07	მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარებები (სარეზერვო)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
06 02 08	ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების პროგრამა (თანადაფინანსება	40,0	40,0	0,0	40,0	40,0	40,0
06 02 09	ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და ქალისა და მამაკაცის თანსწორობის საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით	25,0	25,0	0,0	25,0	25,0	25,0
06 02 10	ბავშთა დღის და ადრეული განვითარების ცენტრი	42,0	42,0	0,0	42,0	42,0	42,0
06 02 11	შშმპ პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	86,5	0	86,5	0	0	0

კოდი	პროგრამის დასახელება	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 00			2 986,9
პროგრამის განმახორციელებელი		დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა		<p>მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.</p> <p>ასევე ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას</p>	
პროგრამის მიზანი		დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 01 01		ა(ა)იმ "დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"	191,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იმ „დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“	
ქვეპროგრამის აღწერა		<p>სამოქმედო არეალში ეპიდზედამხედველობის, მათ შორის ტუბერკულოზით დაავადებული პირების კონტაქტების კვლევა, შეწყვეტილი და ურჩი ტუბ პაციენტების მოძიება მათი მკურნალობაში ხელახალი ჩართვის მიზნით, პატიმრობიდან გათავისუფლებული ტუბ პაციენტების ზედამხედველობა მკურნალობის დასრულების მიზნით, სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა განხორციელება, სხვადასხვა პარაზიტულ დაავადებებზე მოსახლეობისათვის რეკომენდაციების მიწოდება; ცოფის გავრცელების სუბტაყვიური მართვის პროცესებზე მეთვალყურეობა, კონტროლსდაქვემდებარებული სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებაზე, ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობაზე რეკომენდაციების მიწოდება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, მათ შორის ანტირაბიული და სპეციფიური შრატებით, სამედიცინო დაწესებულებების უზრუნველყოფა ასაცრელი მასალითა და ტესტ-სისტემებით - „ცივი ჯაჭვის“ პრინციპის დაცვით და მონიტორინგი, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება თამბაქოსა და მეორადი კვამლის მავნეობაზე, სხვადასხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და სავაჭრო დაწესებულებებში თამბაქოს შესახებ კანონის განმტკიცების ხელშეწყობა, სხვადასხვა ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებებზე, აგრეთვე ჯანმრთელობისათვის მავნე ჩვევებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ლექცია საუბრებით, საინფორმაციო ბეჭდური მასალის მომზადება-გავრცელება, მასმედიასთან ურთიერთობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა,</p>	

	ქვეპროგრამა მოიცავს:
ქვეპროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება - საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

კოდი	პროგრამის დასახელება	სოციალური პროგრამები	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 02			2 795,2
	პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
	პროგრამის აღწერა	<p>ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის დახმარებას, პროგრამა მოიცავს 7 ქვეპროგრამას:</p> <p>ა) მძიმე დიაგნოზის მქონე და სხვადასხვა სოფიაციური ფენის მოსახლეობის სოციალური დაცვა, რომელშიც შედის ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა, დიალიზის საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერა, ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით მხარდაჭერა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (უსინათლოთა) ფინანსური მხარდაჭერა და მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების ქვეპროგრამები;</p> <p>ბ) ზამთრის სეზონთან დაკავშირებით ბიოსაწვავით უზრუნველყოფის პროგრამა</p> <p>გ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის დახმარება, რომელშიც შედის აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარება,</p> <p>დ) მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა ა(ა)იპ "დმანისის სათნოების სახლი"</p> <p>ე) ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა და სხვა.</p>	
	პროგრამის მიზანი	მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მძიმე დიაგნოზის მქონე და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის სოციალური დაცვა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 02 01			720,0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა, დიალიზის საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერა, ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით მხარდაჭერა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (უსინათლოთა) ფინანსური მხარდაჭერა და მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების ქვეპროგრამები;	
	ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მძიმე დიაგნოზის მქონე პირების ფინანსური მხარდაჭერა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 02 01 01			328,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ზავების უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით მოსარგებლები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ავთვისებიანი სიმსივნით და C ჰეპატიტით დაავადებული პირები, ცალკეულ შემთხვევაში დმანისის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია მიანიჭოს პირს პროგრამით სარგებლობის უფლება, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით, მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით, რომლის მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს 200 (ორასი) ლარს.
ქვეპროგრამის მიზანი	ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა მკურნალობისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსებისთვის

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	დიალიზის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ფინანსური მხარდაჭერა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 02 01 02			61,0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ზავების უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პაციენტები, სხვადასხვა სამედიცინო სერვისის მისაღებად საჭირო ხარჯებისა და მგზავრობის ხარჯების უზრუნველსაყოფად დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტი დიალიზზე მყოფ ადამიანებისთვის ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით ფინანსურ დახმარებას გასცემს, 2021 წელს ფინანსური დახმარებით ისარგებლა 15 ადამიანმა (ამ ეტაპზე სარგებლობს 14 ბენეფიციარი, 4 გარდაიცვალა კორონავირუსით), მუნიციპალიტეტი გარკვეული კატეგორიის მოსახლეობისთვის უზრუნველყოფს ტრანსპორტით უფასო მომსახურებას, მათ შორის სარგებლობენ დიალიზზე მყოფი პირები, თუმცა რეისების განრიგს არ ემთხვევა მათი მკურნალობის დღეები, ამიტომ სჭირდებათ კერძო ტრანსპორტის მომსახურება.	
	ქვეპროგრამის მიზანი	დიალიზზე მყოფი ადამიანებისთვის სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01 03			15,0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ზავების უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	მოსარგებლენი არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებული პირები, შესაბამისი დახმარებას იღებს ფინანსური დახმარების სახით, ამ ეტაპზე გვყავს 5 ბენეფიციარი და წლის ბოლოს დაემატება კიდევ ერთი პირი	
	ქვეპროგრამის მიზანი	ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01 04			97,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ზავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირები, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირი ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ფინანსური დახმარების სახით ყოველთვიურად 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
ქვეპროგრამის მიზანი	მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირთა მატერიალური მხარდაჭერა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მიცვალეულთა სარიტუალო მომსახურების მუნიციპალური პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01 05			15,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ზავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირები, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირი ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ფინანსური დახმარების სახით ყოველთვიურად 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;	
პროგრამის მიზანი		გარდაცვლილი ოჯახებისათვის ფინანსური მხარდაჭერა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	18 წელს გადაცილებულ შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 2023 წლის სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01 06			30,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ზავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, 18 წელს ზემოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ფინანსური მხარდაჭერა და ცნობიერების ამაღლება (რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ჯანსაღი და სრულფასოვანი განვითარება, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართვა და ეკონომიკური გაძლიერება); პროგრამის მოსარგებლე პირების ცნობიერების ამაღლება, მოქმედ ადგილობრივ და სახელმწიფო პროგრამებში ქალთა ჩართულობის გაზრდა და სოფლად მცხოვრებ შშმ ქალებთან და ოჯახებთან საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა დმანისის მუნიციპალიტეტის ქალთა და ზავშვათა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს და დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს ჩართულობით მათი საზოგადოებაში გააქტიურებისა და ეკონომიკური გაძლიერებისათვის)	
ქვეპროგრამის მიზანი		პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, 18 წელს ზემოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ფინანსური მხარდაჭერა და ცნობიერების ამაღლება	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მარჩენალდაკარგული, დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01 07			26,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ზავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარჩენალ დაკარგული ან დედმამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარჩენალ დაკარგული ან დედმამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვები.	

ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარჩენალ დაკარგული ან დედამამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ფინანსური მხარდაჭერა
---------------------	---

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	„ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამაში ჩართული 0-18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი, ბავშვიანი ოჯახების ქირით უზრუნველყოფის 2023 წლის ქვეპროგრამა“	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01 08			18,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		პროგრამის მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.	
ქვეპროგრამის მიზანი		პროგრამის მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების (ქირით უზრუნველყოფის) ქვეპროგრამა“	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01 09			18,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
